ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №46

16.08.2024 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032420418-03; 22.07.2024);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე **(12-03242151-03; 02.08.2024);**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე **(12-032421448-03; 01.08.2024);**

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობის დროის და პირობების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03242224-03; 09.08.2024);**

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032422242-03; 09.08.2024);**

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032422242-03; 09.08.2024);**

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032422242-03; 09.08.2024);**

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032422242-03; 09.08.2024);**

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-03242276-03; 14.08.2024);**

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032422651-03; 13.08.2024).**

მომხსენებელი:

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს" უფროსის მოადგილე.
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს" უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

1. **„სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032420418-03; 22.07.2024):**

ვ. აბულაძემ განმარტა, რომ პროექტის თანახმად, ცვლილება შედის დადგენილების დანართი 3-ში და მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) შემდეგი კომპანიების მარშრუტები:

- სს „გეფა"-ს სასაწყობე მეურნეობა - ეწევა ფარმაცევტულ საქმიანობას და კომპანიის მისამართიდან მარაგდება 400-ზე მეტი აფთიაქი. კომპანია ზემოაღნიშნული საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფს დასაქმებული პირების გადაყვანას M_3 კატეგორიის 2 (ორი) ერთეული ავტობუსით, თანდართული მარშრუტით;
- შპს „ბარამბო" - ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, კერძოდ, საკონდიტრო პროდუქტების წარმოებას მცხეთა სოფ.ნატახტარში. კომპანიას დასაქმებული პირები გადაყავს M_3 კატეგორიის 1 (ერთი) ერთეული ავტობუსით, თანდართული მარშრუტით;
- შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო" - ბაზარზე მოღვაწეობს საკვები პროდუქტების წარმოება - რეალიზაციის მიმართულებით. ქარხანა მდებარეობს თბილისში, სოფელ ფონიჭალის დასახლებაში. კომპანიაში დასაქმებულია 500 თანამშრომელი, რომელთა ტრანსპორტირება ხორციელდება 2 (ორი) ერთეული M_3 კატეგორიის ავტობუსით, თანდართული მარშრუტით;
- შპს „ავერსის კლინიკა" - დღეისათვის საქართველოს მასშტაბით აერთიანებს კლინიკათა ქსელის 13 ფილიალს და ლაბორატორიის 24 ფილიალს. შპს „ავერსის

კლინიკა“ ზრუნავს კლინიკაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალზე და ყოველდღიურად უზრუნველყოფს დაახლოებით 90 სამედიცინო პერსონალის ტრანსპორტირებას ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონებში, კლინიკის ფილიალების ადგილმდებარეობიდან გამომდინარე.

კომპანია ზემოაღნიშნული საქმიანობის ფარგლებში, უზრუნველყოფს დასაქმებული პირების გადაყვანას M_2 და M_3 კატეგორიის 4 (ოთხი) ერთეული ავტობუსით, თანდართული მარშრუტით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- ,,სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032420418-03; 22.07.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე (12-03242151-03; 02.08.2024):

ვ.აბულაძემ განმარტა, რომ მიმდინარე წლის 19 ივლისს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა ცვლილებები და სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიების ჩამონათვალს, რომელთა მოძრაობის ადგილს და დროს განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, დაემატა T კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

,,T“ კატეგორია არის ნებისმიერი თვლიანი ან მუხლუხა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო სამუშაოების შესასრულებლად, აღჭურვილია, სულ მცირე, ორი ღერძით, გააჩნია არანაკლებ 6 კმ/სთ მაქსიმალური კონსტრუქციული სიჩქარე, რომლის მთავარი ფუნქციაა წევის ძალის შექმნა და რომელიც კონსტრუირებულია სპეციალურად გაწევის, მიწოლის, გადატანის ან სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო სამუშაოების შესასრულებლად, განკუთვნილი რიგი ურთიერთშენაცვლებადი მექანიზმების მოქმედებაში მოყვანისათვის ან სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო დანიშნულების მისაბმელების ან მექანიზმების ბუქსირებისთვის; ის შეიძლება ადაპტირდეს ტვირთის გადასაზიდად სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო სამუშაოების კონტექსტში და/ან შეიძლება, იყოს აღჭურვილი ერთი ან მეტი სამგზავრო სავარძლით.

წარმოდგენილი პროექტის მიზანია T კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების ძირითადი არსი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საგზაო მოძრაობის ორგანიზების მოწესრიგებაა.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე **(12-03242151-03; 02.08.2024)** განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032421448-03; 01.08.2024)**:

ვ.აბულაძემ აღნიშნა, რომ ცვლილების თანახმად, დადგენილების „ა.ნ“ ქვეპუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ვადა გახანგრძლივდება და განისაზღვრება 2025 წლის 1 იანვრიდან.

რაც ნიშნავს იმას, რომ გადაადგილების აკრძალვა კვლავ არ გავრცელდება ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდების/ტრანსპორტირებისის საჭირო სატრანსპორტო საშუალებებზე – 08:00-11:00 საათების შუალედში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032421448-03; 01.08.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობის დროის და პირობების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03242224-03; 09.08.2024):**

ვ. აბულაძის განმარტებით, 2024 წლის 1 სექტემბრიდან, გზაზე, სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია და განთავსებულია 5.41.1 საგზაო ნიშანი და დატანილია კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.26 ჰორიზონტალური მონიშვნა (აღნიშნავს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის განკუთვნილ ზოლში მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) გადაადგილების უფლებას. ეს საგზაო მონიშვნა შეიძლება იყოს 5.41.1 საგზაო ნიშნის გარეშე), დასაშვებია მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობა. მოძრაობა შესაძლებელია დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში.

დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის 1 სექტემბრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობის დროის და პირობების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03242224-03; 09.08.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032422242-03; 09.08.2024):**

როგორც **ვ. აბულაძემ** განმარტა, პროექტის მიხედვით, დებულებიდან ამოღებული იქნება მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტი. შესაბამისად, ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემა აღარ იქნება ქონების მართვის სააგენტოს ფუნქცია. ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო გახდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„ვ“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს უფლებამონაცვლე.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემების შეთანხმების მსურველი განმცხადებელი წარმოდგენილი ცვლილების განხორციელების შემდეგ ერთი ფანჯრის პრინციპით, გამარტივებულად მიმართავს მხოლოდ ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის შეთანხმების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032422242-03; 09.08.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032422242-03; 09.08.2024):**

ვ.აბულაძის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დადგენილებით დამტკიცებული წესიდან ხდება მე-5 და მე-6 მუხლების ამოღება. იმ შემთხვევაში თუ ამოღებული მუხლების შესაბამისად გადახდილი საფასურების საფუძველზე განმცხადებელს არ აქვს შესაბამისი მომსახურება მიღებული, მათ მომსახურებას უკვე გადახდილი საფასურის ფარგლებში, განახორციელებს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადების ან/და შეთანხმების სამსახური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტი **(12-032422242-03;09.08.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032422242-03; 09.08.2024):**

ვ. აბულაძემ აღნიშნა, რომ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და ქონების მართვის სააგენტო ერთდროულად არიან უფლებამოსილნი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმებაზე. ზემოაღნიშნული ფუნქცია ერთიანდება ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ფუნქციებსა და უფლებამოსილებებში. სააგენტოს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამსახურის უფლებამოსილებიდან დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმების ნაწილი გადაეცემა ახალ სტრუქტურულ ერთეულს - საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადების ან/და შეთანხმების სამსახურს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032422242-03; 09.08.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032422242-03; 09.08.2024):**

ვ.აბულაძემ პროექტის წარდგენისას განმარტა, რომ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და ქონების მართვის სააგენტო ერთდროულად არიან უფლებამოსილნი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმებაზე. ასევე, მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფუნქცია ერთიანდება ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ფუნქციებსა და უფლებამოსილებებში.

სააგენტოს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამსახურის უფლებამოსილებიდან დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმების ნაწილი გადაეცემა ახალ სტრუქტურულ ერთეულს - საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადების ან/და შეთანხმების სამსახურს.

ცვლილების თანახმად, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემების შეთანხმების მსურველი განმცხადებელი წარმოდგენილი ცვლილების განხორციელების შემდეგ ერთი ფანჯრის პრინციპით, გამარტივებულად მიმართავს მხოლოდ ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის შეთანხმების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032422242-03; 09.08.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03242276-03; 14.08.2024):

ვ. აბულაძის განმარტებით, პროექტის თანახმად, პირებს, რომელთა მიმართაც 2023 წლის პირველი ივლისიდან 2024 წლის პირველ ნოემბრამდე შედგენილია/შედგენილი იქნება ელექტრონული საჯარიმო ქვითრები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის და ამ ელექტრონული საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და ჯარიმის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი გადახდილი აქვთ/ექნებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სახაზინო კოდზე (300773255), ამასთან, ფიქსირდება/დაფიქსირდება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), თუმცა არ აქვთ/ექნებათ მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, ჩაეთვალოთ გადახდილად და მათ მიმართ აღარ განხორციელდეს/აღარ გაგრძელდეს გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-03242276-03; 14.08.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

10. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032422651-03; 13.08.2024):**

დ.ჯაიანმა პროექტის წარდგენისას განმარტა, რომ მგზავრთა დიდი ნაკადის გათვალისწინებით, რუსთავში დღის წესრიგში დადგა რუსთავი - თბილისი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის, რუსთავი - თბილისი რკინიგზის სადგურის და რუსთავი - თბილისი დიდუბის ავტოსადგურის მიმართულებით ახალი მარშრუტების შეთანხმების საკითხი. როგორ მან აღნიშნა, რუსთავის მუნიციპალიტეტს უკვე დაწყებული აქვს დამატებით 70 ერთეული M_3 კატეგორიის ავტობუსების შემოყვანის პროცედურა (2024 წელს 20 ერთეული და 2025 წელს 50 ერთეული). სწორედ ამიტომ, წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე, რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დისლოკაციების ადგილებს დაემატება 3 წრიული მარშრუტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032411651-03; 13.08.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე